

# ბუნების

მთხრობა

ფასი: 50

გეორგიანული



ბუნების ფუნქციებს თავი ახიზნის დევილიზატორებად მოაქვთ.

პრეზიუმე, თავის ვაჟავალდობი, სივილიზაციის ამოღობი!

ნახ. გ. ისახველი

# პუკს

ნახ. ღონის.

## სკოლაში

ფანტაზიით ერთობ მდიდარი კაცი ვარ. ოცნებით შემოიძლიან. წარმოვიდგინო ჩემთვის სასურველ პირთა აჩრდილები, და როცა მათთან მიხედვა შეხვედრას, ერთობ საინტერესო საუბრებისა და ექსკურსიების მოხაზილე ვხდები.

ასეთი შეხვედრა შეკონდა ამ დღეებში ვაჟა-ფშაველასთანაც.

ტრამვაიში ვიჯექი და გაზეთს ვათვალიერებდი. ბევრი რამ საგულისხმო ეწერა. ამოვიკითხე სხვათა შორის ქრონიკაც. რომელიც გვამცნობდა, რომ ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 20 წლის აღსანიშნავი საღამო ეწყობოდა ხელოვანთა სასახლეში.

მე ფანტაზიით უკვე წარმოვიდგინე ეს საღამო. ოცნებით ხელოვანთა სასახლეში შევდივარ, კარებთან აუარებელი ხალხია, ყველა თხოულობს შესვლას, მაგრამ ამ საღამოს სტუმართა შეშვება ბარათებით არაა, რაც ყველას არ გასწვლამია, ამიტომ მრავალი უკმაყოფილება ისმის.

— შეგვიშვით ბოლოს და ბოლოს, ვაჟა ხომ ყველასია. ყველა უნდა დაესწროს მას საღამოს, — ამტკიცებს ერთი.

— დიახ, ყველასია, ჩვენი, საერთოა — ლიტმეტიკობა და კლასიკოსები.

— არარ გახლავთ ბილეთები ამხანაგებო, უკვე განაწილდა, უმტკიცებს მათ მეკარე. ერთი მწერლესა (ე. ი. მწერლის ცოლი) წიწმამატობს:

— ეს დაუშვებელია, ბილეთები ნიჭის მიხედვით უნდა ნაწილდებოდეს და არა ისე „ნაურათ“.

— ესე იგი, როგორ ბრძანებთ?

— ისე, რომ ნიჭის მიხედვით, ჩემ ქმარს ცამეტი ბილეთი მაინც ეკუთვნოდა, როგორც პოეზიის წამყვანს.

— ცამეტი?



— ჩემს ქმარს ცამეტი ბილეთი ერგებოდა.

— არა მეტი, ცამეტი პოეზიის დარგში, ახლა დრამატურგობაში თორმეტი, — ეს ოცდა ხუთი, ბილეთისტობაში — ათი მაინც ეკუთვნოდა, სტენოგრაფიაში ცხრა, კრიტიკისთვის — ხუთი, თანამშრომლობაში — შეიძლება.



ს. ჩიქოვანი (ვაჟას): — აფხუს, შენი „ბრძენი ვირი“ რომ ჩემი ყოფილიყო. მასაც ვავაცნობდი ჩემს „ხევ“ურული ძროხასავით“ მთელ საბჭოთა კავშირს.

— თქვენს ქმარს ყველანი ვიცნობთ, მაგრამ ჯერ მისი დაწერილი არაფერი გვინახავ. — სარკასტიულად ესვრის ვიღაცა.

— დაწერაზე ხომ არ არის საქმე? რაოდენი ჩემი თანამედროვე მწერალი სულ არაფერსა სწერს, მაგრამ მაინც წამყვანობას ჩემობს.

არ ვიცი რითი გათავდა ეს დავა; მე დრო ვიხელთე და დარბაზში გაგზნდი. საღამო უკვე დაწყებულიყო და მიღეთის ხალხი სულ განაპული უსმენდა ორატორს.

ორატორი აკეთებდა მოხსენებას ვაჟას შემოქმედების შესახებ.

— მოხსენებას?

ეს მოხსენება კი არა, ციხა და მიწის დაჯახებას მოგაგონებდათ: სისწრაფე და შეტევა, გაქანება და გაფრენა, იადონის რაკრაკი, შაშვის ქახუხი, არწივის ფრთათა შუილი, ვეფხვის ნახტომი, ეს ყველაფერი ერთად უნდა წარმოიდგინოთ, რომ გაიგოთ თუ როგორი იყო ის მოხსენება.

— ვაჟას სიმბოლიზმის კონცეპციური აღნაგობა სკეპტიციზმის ასექტით არ უნდა იქნეს განჭვრეტილი, — ამბობდა მოხსენებელი ტკბილი ქართულით. — მისი პატ-

რიარქალიზმის სულით გაყენილი რომანტიული ჰეროიკა, თანამედროვეობიდან მრავალკილომეტროვანი ინტერვალით არის ოტეზული, მაგრამ მისი ინდივიდუალობის დიფერენცირება გვაძლევს მთლიანობის პროპორციულ საწყისს.

აქ მჭუხარე ტაშმა იგრილა და — შემიღებ თვალებში გადავიდა, რაც ორატორის ლიტმეტიკულების მომხიბლავობის დამადასტურებელი იყო.

ორატორი ოვაციებს არ დაგიდევდათ. ის განაგრძობდა. განაგრძობდა ექსტაზით და ტემპერამენტით.

გვერდით რიგში ჩამდგარი ორატორები მოუთმენლად უცდიდნენ მოხსენების დამთავრებას. იქით იოსებ იმედაშვილს არსენასავით ნაბადი გვერდზე მოეგდო, აქეთ ტიციან ტაბიძე ცალი ხელით ქოჩორს ივარცხნიდა, მეორით — მიხაკს ირჭობდა სადილეში, იაშვილი პაოლო ნაპოლეონის პოზით ჩამჯდარიყო პრეზიდენტის სავარძელში და დ. დემეტრე რაძეს რაღაცას უმტკიცებდა, მიხეილ ჯაფარიძე ბლოკნოტში იწერდა და რეპლიკებს ამზადებდა, შალვა დადიანი ულვაშებში იდიმებოდა, ვტყობა ვაჟასთან ტკბილ-

შებენდრებს იგონებდა, სანდრო შანშა-  
შვილს ხელში ახალი ღრამებით, სცენარები-  
თა და პოემებით სავსე ჩემოდანი ეჭირა, გრი-  
შაშვილი ვაჟას გამოუტყვევებელი ნაწერების  
ბიბლიოფილად ასდგენდა, ჩვენი პროლეტ-  
პოეტები ვაჟას ტომებს ატრიალებდნენ და  
ეცნობოდნენ მას სახელდახელოდ, რამდენიმე  
კრიტიკოსი კლასიკოსების საკითხში დაშვე-  
ბულ შეცდომებს ასწორებდა ფანქრით, ვრ-  
თის სიტყვით, როგორც ვაჟა იტყობდა:

**თავშეყრა იყო, დროება  
ხიტყვის ისარბა სრვეანი.**  
— აფსუს, — ვფიქრობდი მე — აფსუს  
ვაჟავ, სადა ხარ, რომ არ უყურებ ამ შენს  
ზემს, შენს დაფასებასა და ჩვენს სიხარულს.  
და არ, ჩემი ფანტაზიის წყალობით ვაჟაც  
შემოვივინა დარბაზში. ის არავის დაუბნავს,  
თვალის ავლო კრებს და ერთ კუთხეში  
შობავს.

მე მაშინვე მივიჭერი მასთან. მაგრა ხე-  
ლი ჩამომართვა დიდმა პოეტმა.  
— ოჰ, გამარჯობა შენი ფარსადან, რას  
ცდილხარ ხარ, რასა იქ?  
— ვაჟავ, ძვირფასო, დიდო მგოსანო,  
რომელ განგებას დაუმაღლო შენთან შეხ-  
ვედრა?

მან გაიღიმა და განაგრძო:  
— გავიგე, ჩემი საღამო ყოფილა. მიწ-  
დოდა თვალის დაშვება, ჰაი, ჰაი, რომ მახ-  
რებს ხელისუფლების ასეთი ზრუნვა ჩვენს  
მწერლობაზე.  
— განა მართო მწერლობაზე?  
— ყველაფერზე, ძველის ამაღლება —  
წინსვლაზე, რასაც მე სიცოცხლეში ვერ  
მოვესწარი, ჩვენი კლასიკოსები ჩამოციდნენ,  
გინდა თუ არა წადი შენი თვლით ნახე შე-  
ნი სერაო, — აკაცე ხომ ასე მოიქცაო,  
ავდექი და გამოეწვიე.  
— მაშ წინ წამოდი ვაჟავ, დაბრძანდი,  
დაისვენე, სავარძელი და დაფნა მზად არის  
შენთვის.

— არა ძმობასა, ასე სჯობია, მაყურებ-  
ლად ვიქნები, — ეს ორატორი ვინ არის? —

საცემად, მაგრამ ტიციანი უკვე ლაპარა-  
კობდა:

— მე მგონია ამხანაგებო, რომ ვაჟა-ფშა-  
ველა ჯერ შესწავლილი არ არის, ამიტომ  
უნდა დაიწეროს მისი მონოგრაფია. მე ვიბე-  
ვებ ამ თემას. მე დავსწერე უკვე ვაჟას ბიოგ-  
რაფია, რომელიც შესულია ჩემს ბიოგრა-  
ფიაში. ახლა მე ვმუშაობ ახალი თემების  
აღმოჩენაზე, რომელშიც შევიყვან ვაჟასაც.



— წამომხვე პანთეონში, — მითხრა მან.

მემკვიდრე ვარ, — ეს მოსკოვიც განიცა-  
და. ეს არ იცის მართო ფილისტრებმა.  
**ბაილო იაშვილი:** (ადგილიდან) მართო  
შენ ხარ ტიციან მემკვიდრე? არ გრცხვენია?  
**გოგლა:** აბა, აბა — ეგენი არ იყო. მუც  
აქა ვარ, მწერლობა ზუზუნში ვაჟას იმიტომ  
კი არ მოუწყე კუთხე, რომ მემკვიდრეობა  
თქვენ გაიკრათ.

**ტიციანი:** ბაილო იაშვილიც, გიორგი  
ლენონიძეც, ვაჟას მემკვიდრეები არიან.  
**ბაილო:** პუშკინის მემკვიდრეცა ვარ არ  
დაგაფიქვდეს.

**ალ. აბაშიანი:** მაშ თუ ასეა, მე უფრო  
ვაჟას რედაქტორი ვარ, რამდენი შრომა და-  
თხაროვავს მისი ნაწერების გასწორებაზე. —  
მემკვიდრეობა ჩემზე უფრო უპრიანი იქნება,  
**ბ. გრიშავილი:** ვა, აცალეთ რაღა, ჯერ  
ერთმა თქვას, ცილობაზე ხომ არ არის  
საქმი?

**სანდრო ეული:** ე, ბიჭო, აცალეთ გაა-  
თავოს, მერე მე მინდა სიტყვა, ვინცა მემ-  
კვიდრე ვნახავთ მაშინ.

— რას იტყვი ვაჟავ, ამ მემკვიდრეობის  
შესახებ?

ვაჟამ მხრები აიჩეხა, —  
— ცოცხალი ვიყო, ვიტყვდი, მაგრამ...

რეპლიკები თავმჯდომარის ზარმა შესწ-  
ყვებდა. ყველა ორატორმა ილაპარაკა, დაახ-  
სიათეს ვაჟას შემოქმედება, მისი მნიშვნე-  
ლობა ჩვენს მწერლობაში და გამოკვეყნდა  
ის ღონისძიებები, რომლებიც მიღებული უნ-  
და იქნეს მისი სახელის უკვდავსაყოფად.

ზემი დამთავრდა. ვაჟა კმაყოფილი დაბ-  
რუნდა დარბაზიდან. მეც თან გამოვეყვი,  
— წავიდეთ ერთი პანთეონში, — მითხრა  
მან.

— დიდებში წავიდე. ჩემი საფლავი  
მინდა ვნახო.

— წაველით. მთვარით განათებულ და-  
ღობის სასაფლაოზე ადვილად ვიციანი ის ად-  
გილი, სადაც ამ 20 წლის წინად ვაჟა დაფ-  
საფლავეთ (უნდა გამოვტყდე, რომ მას შე-  
რე აღარც ეყოფილვარ დიდი პოეტის საფ-  
ლავზე, როგორც ამას ჩვენი საზოგადოების  
ჩვეულება მოითხოვს). თვით საფლავი კი  
ვერ გავარჩიე, რადგან მიწა დატყეპილი

იყო და არავითარი ნიშანი არ ამტკიცებდა,  
რომ იქ ვაჟა მარხია.

— სადა ვარ მე? შემიკითხა ვაჟა.

— დიდუბის სასაფლაოზე, — ვუბასუბე მე.

— არა, სადა ვმარხივარ მეთქი?

— ჰოო, განა შენ თვითონ არ იცოცხლე  
ვაჟავ?

— არ ვიცი. აქ უნდა ვემოხხო, მაგრამ  
საფლავს კი ვერ ვხედავ დ.

ორივემ დიდხანს ვეძებეთ.

— ეგები გადამიტანეს ყმაწვილო?

— სად გადამიტანეს ვაჟა?

— რა ვიცი, ეგება ახალ პანთეონში გა-  
დამიტანეს მეთქი, თორემ როგორ დავიჯე-  
რო, რომ ჩემი საფლავი ასე დაკარგული  
იყო.

— შეიძლება, მაგრამ გაზეთებში არ წა-  
მიკითხავს.

— მაშ წამომხვე, თორემ ტფილისს იქ  
გამოცკვილს ვხედავ, რომ ვზას ველარ გა-  
ვიგნებ შთაწმინდამდე.

მე გამეცინა.

— რას იციანი ყმაწვილო, ამას წინათ ნი-  
კოლოზ ბარათაშვილს მონატრებოდა „ფიქრ-  
ნი მტკვრის პირას“, თურმე ეძებდა „ნაცნობ  
ადგილს განსასვენებლად“, მაგრამ ველარ  
ენახა. ყველგან ელექტრონი ბედვრიალებდა,  
ავტოები და ტრამვაები დაჭროდით, როდის  
მოასწრესო იძახდა! გრიგოლ ორბელიანს კი  
ძველი სატივე ველარ ეპოვა, შიგ ბაღი და პა-  
რაშუტი დახვედროდა, პუშკინი და ჩანჩე-  
რები.

— დიან, ტფილისი ანლო დღიანი-დღე  
იკვლება. ასფალტსა და ბეტონს იცვამს.  
ბადებითა და შადრენებით ირთავს ტანს,  
შუქის ტალღებში ბანაობს. აი თუნდაც ეს.  
ჩელიუსკინელთა ხიდი რად ღირს.

და... როცა ამას ვეუბნებოდი კონდუქ-  
ტორის ხმამ გამომარკვია.

— ბილეთი, თქვენი ბილეთი, ჩამძახა მან  
ყურში. მივიხედე, მართლაც ჩელიუსკინელ-



— თქვენი ბილეთი; — ჩამძახა კონდუქტორმა.

თა გაჩირადნებულ ხიდზე მივსრიალობ-  
ლით...

გადავიწყებთ: აუცილებლად დაგესწრო  
ვაჟას საღამოს, მინდა შევიადარო, რამდენად  
წაგავს ჩემი ფანტაზიის ნაყოფი — სინამდვი-  
ლეს.

**ფარსადანი**

**მინაწერი.** უნდა გამოვტყდე, ჩემი წარ-  
მოდგენა მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა.  
ალბად მწერალთა კავშირმა გამოიგო განზრახ-  
ვა და ვაჟას საღამოს პროგრამა არსებითად  
შესცვალა. აღვიარებ ჩემს ფანტაზიაში დაზ-  
ვებულ შეცდომებს.




ორატორი ოვსებს არ დაგიდევდათ.

ჰო, ვიციანი, ჩვენი უქრობანი, —  
ბარათკალა, მაგრამ რატომ ქართულად არ  
ლაპარაკობს?

— ქართულია, მაშ სადაურია?

— მართლა? ალბად ძალიან ლიტერატურ-  
რული ქართული იქნება.

მაგრამ აქ ორატორმა ხმას აუწია. პათოსს  
უმატა, დაქქა-დაგოვირა და გაჩერდა ტაშ-  
მა შესძრა დარბაზი. ამხ. დემეტრძე მოეწი-  
ზადა შემდეგი ორატორისათვის სიტყვის მი-



1-ლი ბაღლინჯო:—რა ხმაურობაა მანდ, კმობილო?  
 2-რე ბაღლინჯო:—არაფერი ჩვენი საკბილო მოიყვანეს!

## შეხვედრა

(ვ. ლებღევე-კუმაჩიდან)

მოსაუბრობდა ორი მგზავრი ერთხელ ვაგონში;  
 ჩვეულებრივად ორივე მათგანს ეხურა, ეცვა, —  
 (მათგვარ საუბარს ტრამვაიში ხშირად შეხვედებით  
 და მგზავრობის დროს მისწენია მსგავსი. რამ მეცა)

— თქვენი ნატალო როგორ ცხოვრობს, როგორ ბრძანდება?...  
 მთელი კვირაა არ მინახავს, შეხვედრა მინდა!  
 — ო, ჩინებულად, ჩინებულად ჩემო კეთილო,  
 იმისი ქმარი სავაჭროში მოკვარახჭინდა!

— აბლად დიდი აქვს ჯამაგირი, როგორც გამოცდილს..  
 — არა, ხელფახი პატარა აქვს: — ამბობს ბებია:  
 — მაგრამ ისე კი „რაცხა რაცხას“... ხომ იცი შეილო..  
 — მესმის ბებიკო ყველაფერი გასაგებია!

4 ხუმც არ ვიცოდი მე აქამდე, რაც თქვენ მითხარით  
 ვერც კი ვიცხანი, როცა იგი კინოში ვნახე;  
 — და მთელი ტანსაცმელით იყო მომართული,  
 რომ გამოცვლიდა თითქოს სრულად ტანსაცმელს.

მაშ, სავაჭროში მოწყობილა? რად არ ვიცოდი...  
 არც თვითონ უთქვამს მის შესახებ... რას ვიფიქრებდი?  
 მაშ მიულოცე ჩემს მაგივრად როგორც კი ნახო... —  
 — რა მიულოცო? — სამსახური... ცხოვრება, ბედი...

წარმოიდგინე მეც კი შემშურს მისი განცხრომა...  
 რა საშკაული... ტანსაცმელი — მორთული სტავრით...  
 შემშურს... პირდაპირ მესხარბება... — და ამ სიტყვის დროს...  
 მათ საუბარში ჩაერია მესამე მგზავრი.

და ის ანაზღათ მოსაუბრეს თავდავიწყებულს  
 ეკვეთა, როგორც ლეგა ღრუბელს გრივალი ქარი:  
 — თქვენ გეხარბებათ, თქვენ ის შეგშურთ, მოქალაქევ, რომ  
 თქვენს მოსაუბრე ქალს — ნატალოს — ქურდი ყავს ქმარი?!

მეღუჯა.

# მეზობელი



ახალგაზრდა ინჟინერი ცოლითა და სამი წლის გოგონათი ახალ ბინაში გადავიდა.

მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა; სად ერთი ოთახი, ისიც ნახევრად ბნელი, და სად ორ-ოთახიანი ბინა, ნათელი და მზიანი. მუშაობა ასეთ ბინაში სახალისოა. სამუშაო კი ცოლ-ქმარს ბევრი ჰქონდათ. ქმარი — პროექტებსა და გეგმებს ხაზავდა, ცოლი — სამედიცინო ფაკულტეტის უკანასკნელ კურსზე იყო და სამეცადინო დღე-ღამე მჭობდა.

პატარა გოგონა უშლიდა ხელს მშობლებს, როცა ერთ ოთახში ცხოვრობდნენ, მაგრამ ახლა ერთი ოთახი საუფროად მას მისცეს, სათამაშოები ბევრი უყიდეს და ისიც აღარ აწუხებდა დედ-მამას.

ერთი სიტყვით საქმე გაიძარბა, დიდებულად მოეწყო.

ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ...

აი ასეთ დროს იცის ამ „მაგრამ“-მა გამოხატომა.

მეზობელმა, კოოპერატივის ნოქარმა, პატეფონი მოიტანა სახლში.

ოჯახში, ხომ ყველას გაუხარდა, მაგრამ არც მეზობლებს სწყენიდათ ამ პატიოსანი და კულტურული გასართობის მოხვლა.

— კარგია, დასვენების დროს მოისმენ კაცი და გაერთობი! — გაუხარდა ახალგაზრდა ინჟინერსაც.

— ნეტ ვიცოდე, ეს კაცი რამდენს დებულობს თვეში?

— 150 მანეთს.

— კი, მაგრამ ყოველდღე რომ ძვირფასს ნივთებს ყიდულობს? კაცო, მე ექვსასი მანეთი მაქვს თვეში და მასავით ვერ ვცხოვრობ. ეს კაცი ხუთმეტი თმებით რაფერ აკეთებს ამდენ საქმეს?

— შენი აგრონომობა რომ მისცე, არ გაცივლის მის ნოქარობაში! — ვინ იცის სანამდე გაგრძელდებოდა ეზოში ასეთი ლაპარაკი, რომ ახალი პატეფონი არ ამღერებულყო.

შუალამემდე უსმენდა ეზო პატეფონს, რომლის სამალარიზოდ პატრონს ლხინი გაემართა და მეგობრები მოეწვია.

სხვების რა მოგახსენო და ჩვენმა ახალგაზრდა ინჟინერმა იცვალა ახრი პატეფონზე.

საქმე ის იყო, რომ მეტი ეფექტის მოსახდენად, მთელი ეზოს გასართობად და დასატკობად, ნოქარის ცოლი პატეფონს უკრავდა აივანზე სწორედ იმ ალაგას, სადარც ოთახში მის მეზობელს ახალგაზრდა ინჟინერს სახანავი მაგიდა ედგა.

სიცილი, ხრილი, ცეკვა და პატეფონის სიმღერა ისე იყო ერთმანეთში არეული, რომ იძლეოდა სრულიად ახალ ჰიმნს, რომ

მელიც ჩაქუჩივით ურტყამდა ახალგაზრდა ინჟინერს თავში და არ აძლეოდა მუშაობის საშუალებას.

აი, ამ ნიადაგზე მოუვიდა მას მეზობლებთან უსიამოვნება.

— ინჟინერი კი არა, ვილაც ხამი ხარ, უფცი და გაუნათლებელი. პატივი ეცი ასეთ ხალხს! თუ არ მოგწონთ, შეგიძლიანთ არ გაივლოთ! — გაცხარდა ნოქარის ცოლი.

— ეს რა სიტყვაა! როგორ თუ არ გავიგონოთ, როცა დღეღამე აღრიალები! — შეუტია ინჟინერის ცოლმა.

— ჰმ! ალბათ პირველად გესმის, საწყალი, პატეფონი და იმიტომ გეჩვენება ღრიად. თქვენისთანა გაჭირვებული ვერასოდეს იყიდის! — დასცინა მეზობელმა და უფროს ვაჟს დაუძახა:

— ბიჭო, „მისტერ ბრაუნ“ დაუკარი!

ინჟინერმა დააპირა საჩივრის შეტანა, მაგრამ.

— სად? ვის ენება ეს ამბავი? ვის მიემართო? მილიცია? მილიციამ რა უნდა ჰქნას? ხომ ვერ აუკრძალავს! სასამართლო? რა მისი საქმეა! „უაკტს“ ვერც ის აუკრძალავს პატეფონის დაკვრას. არ არსებობს კანონი, რომელიც კრძალავდეს პატეფონის დაკვრას!

ვერ ნახა რა სხვა გამოსავალი, ინჟინერმა ისევ დაიწყო ახალი ბინის ძებნა და ყველას ეკითხებოდა ამის შესახებ.

— კი, მაგრამ შენ ახლახან არ გადადი ახალ ბინაზე? — უკვირდათ მეგობრებს.

და როცა მან ერთ მეგობარს დაწვრილებით უამბო თავისი გაჭირვება, მეგობარმა ცოლი ლომთათიძის წიგნი მოიტანა და წაუკითხა პატარა მოთხრობა „გრამაფონი“.

ახალგაზრდა ინჟინერი სიხარულისაგან შეხტა, ციბრუტივით შემოტრიალდა, წიგნი ხელიდან გამოსტაცა მეგობარს და მეორეჯერ თითონ წაიკითხა:

„იშოვა სადღაც ციხის უფროსმა ერთი ხრინწიანი გრამაფონი. თითქოს ქრონიკული ბრონხიტით შეპყრობილი, სამი დღის უძინარი, ლოთი ვინმე მღერის — ისეთი ხმით...“

ჰო თავდაპირველად თითქოს გვიამა კი დეც. რაც უნდა იყოს, გასართობი იყო ერთ-ერთი სატუსალოს ცხოვრებაში, როცა პირველად მისი ხმა მოისმა ციხის უფროსის გინიდან, ტუსალებმა აცქვიტეს ყური, ჩამოიარეს ბუქნა და მწარედ, მწარედ შეიგინეს დედა, რაიც მოწონების ნიშანი იყო. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მოგვაბეზრა თავი. ხოლო ერთ საღამოს საბოლოოდ და ღრმად შეგვშულდა იგი... გათავდა, არც ჯალათი, არც პოლიცია არ გვყავდა ჩვენ მტერი გრამაფონის გარდა, რა ვუყოთ? რით მოვიშო-

როთ ეს დაუძინებელი მოსისხლე მტერი?

— სიკვდილი გრამაფონს, ის ჩვენს ხელშია! — შევძახე მე.

— რანაირად? როგორ? — მომძახნეს.

— ის ბიჭმა იცის!

მიფუჯავი სტოლს და ლიღინით შევუდექი წერას:

„ჩემო ძვირფასო საშა! კარგად ვარ მე და მხიარულად. მართალია ტუსადი ვარ, მაგრამ მაღლობა ღმერთს, ეშმაკი არც ისეთი ყოფილა, ხუცებისაგან რომ გაგვიგონია; ანდა იქნებ ეს ასეა იმიტომ, რომ ჩვენ კარგი, კეთილი უფროსი გვყავს, რომელსაც არ უყვარს ადამიანის წამება. პირფერობით არ ვამბობ ჩემო საშა, ამას. მაგალითად: ციხეში ხომ ხიმღერა აკრძალულია, ჩვენმა ციხის უფროსმა კანონს შემოუარა... იყიდა გრამაფონი, არ დაერიდა ხარჯს და ამნაირად გვიმსუბუქებს მდგომარეობას.“

ჩავდევი კონვერტში ეს წერილი და გადავიცი ზედამხედველს. დავიწყე ლოღინი, გათენდა დილა, აი საცა არის ახლიჩინდება გრამაფონი, აი, რაც ხანია... ჩქარა იქნება...

ურა! გრამაფონი დუმს! ურა!

შუადღისას ცარიელი კონვერტი უკან მომიტანეს. ეს იმას ნიშნავს, რომ წერილი არ გაუშვეს, დაიჭირეს. ურა, გრამაფონი დუმს! ურა ბიჭებო!

— ყოჩაღ ქოლა, რა ოინი მოუგონია! — ისევ შეხტა ახალგაზრდა ინჟინერი. — ეს წაკითხული მქონდა, მაგრამ არ მომეგონა, მეც ასე მოვიქცევი! — და ახალგაზრდა ინჟინერი განარებული წავიდა შინ.

მეზობელმა დანახა თუ არა, რომ ინჟინერი დაბრუნდა და მუშაობას შეუდგა, პატეფონი იავანზე გამოიტანა და აამღერა.

ინჟინერმა ფანჯრები გააღო, მუშაობას თავი მიანება, ცოლი ცეკვაში გაიწვია და პატეფონს აპყვენ, ცეკვავდნენ ჩარლსტონს.

— მეხი კი დაგაყარეთ! — წამოიძახა მეზობელმა, ხელი დაავლო პატეფონს და ოთახში შეარბენინა. — ვერ მოვართვით ბადრიჯანი, ილანძღებიან და თანაც უნდა ჩემი პატეფონით ვართობა! — ბუზღუნებდა იგი მეზობლებში.

ახლა, როცა ინჟინერს მოესურვება პატეფონის მოსმენა, მეზობელს თავს აჩვენებს, თითქოს დიდი სამუშაო აქვს და არ სცალია. მეზობელი გამოიტანს პატეფონს და ამღერებს. როცა ინჟინერს მობეზრდება პატეფონი, იგი დაიწყებს ცეკვას, ანდა პატეფონს პყვენა სიმღერაში. ეს საკმარისია, რომ მეზობელმა მაშინვე დაავლოს ხელი პატეფონს და სახლში შეარბენინოს.

ისელი

# სოხორ პიპილაძე

ამბავი მისაგე

## ვინ-ვის გააცურებს

ელექტრონის ზარი რომ დაიწკარუნებდა, მოსამახურე ქალი, ცალთვალა მაშა ღერეფანში გაიბრუნდა, პოეტს ლაუსს ტინტილამის კარს გაუღებდა და ბოდიშს მოუხდიდა, რომ დღეს ხოხო ბინაზე არავის იღებდა. მიზეზად დაუსახელებდა, თითქოს, ხოხო კაბინეტში ჩაკეტილი რაღაც დიდ ნაწარმოებს წერდა. ამ დროს სასტუმრო ოთახის კარიდან გამოჩნდებოდა ხოხოს ცოლი დარეჯანი. დაიხანჯა თუ არა ტინტილამის, მოსამახურე ქალს გაუჯავრდებოდა და სტუმარს ბოდიშის მოხდით ოთახში მიიპატიჟებდა. მასპინძლები პოეტს გადაჭარბებული თავაზიანობით მიიღებდნენ და ხოხო მაშას საქციელს გამო თითქოს გაბრაზდებოდა და საყვედურით მიმართავდა დარეჯანს:

— ნუ თუ დღემდე ვერ ასწავლე მაგ უვიც გოგოს, თუ ვინ უნდა მიიღოს და ვის არა?

დარეჯანი სიცილში ჩაატარებდა ქროს საყვედურს.

— მართლა ტინის არაფერი გააჩნია მაგ უბედურს. მე სხვის შესახებ გავაფრთხილებ. მას კი შეშლია და პატივცემული ჩვენი სტუმარი არ მიუღია.

ასე შეხვდებოდნენ ცნობილ პოეტს ლაუს ტინტილამის ხოხოს ოჯახში.

ამის შემდეგ კი სტუმარს მურაბიანი ჩაით ხაჭაპურით და კონიათ გაუმასპინძლებოდნენ...

სტუმარს საუბარზე დაუწყებდა ხოხო, და თავისებური მოხერხებით გადადიოდა მისთვის საინტერესო საკითხებზე.

მას კი ამ საღამოს აინტერესებდა ლაუს ტინტილამის ცხოვრების საიდუმლოებანი.

მას არ ასვენებდა ლაუსის დაუმსახურებელი ლიტერატურული სახელი და პატივდიდება.

რა შექმნა მწერლობაში მან? არაფერი.

რა დასახურება მიუძღვის მას რევოლუციის წინაშე? არაფერია.

მაშ რატომღა ლაუსი ცნობილი და მიღებული?!

რატომ ლაუსს არჩევნ ყრილობაზე, დელეგაციებში, ხელმძღვანელ ორგანოებში და სხვა?

ამ კითხვებზე ხოხო პასუხს ვერ ნახულობდა.

ლაუს ტინტილამე მისთვის საიდუმლოებას წარმოადგენდა. ამ საღამოს მას ეს საიდუმლოება უნდა გაეხსნა.

ხოხო უმიზნოდ და უაზროდ არაფერს აკეთებდა.

მისთვის მწერლობა მოწოდება კი არ იყო, არც მიზანი. ის იყო ერთი საშვალებათაგან ბედნიერი ცხოვრებისათვის.

ამასთან ერთად მას იტაცებდა მწერლის სახელი და არა მწერლობა...

თავისი ნიჭის შესახებ ხოხო მუდამ გულ-

ანდილი იყო თავის თავთან აღიარებდა, რომ ის მწერლობაში ხედმეტი ბარჯია, მაგრამ სამაგიეროდ ნიჭის მაგიერ მას გააჩნდა უსაზღვრო სურვილი და დაუმრეტი ენერჯია, რომლითაც ის ფარავდა თავის უნიჭობას.

მხარ-თეძოზე წამოწოლილი ხოხო პოეტი ტინტილამის მოსვლას მოუთმენლად ელოდა და წინასწარვე გეგმას ადგენდა მასთან საუბრის შესახებ...

ლაუსი ტინტილამე არ ჩქარობდა. ზარი არ რეკავდა.

ტინტილამის მოსვლის ლოდინში ხოხოს მოთმინების ფილა ევსებოდა, რომ მაშა დერეფანში გაჩნდა და სტუმარს კარი გაუღო, ბოდიში მოუხადა და მოახსენა, რომ ხოხო დღეს მას ვერ მიიღებდა.

— რატომ?—გაკვირვებით იკითხა ტინტილამე.

— კაბინეტში ჩაკეტილი ბრძანდება და მუშაობს!—იყო მაშას პასუხი.

— მოახსენეთ, რომ ტინტილამე ვარ.

— არ შემოძლია, ნაბრძანები მაქვს.

ტინტილამე მიხვდა, რაშიც იყო საქმე და ჩააცინა:

— მაშ თუ ასეა, სამაგიეროდ ინებოს!— გაიფიქრა მან.

— მოახსენეთ, რომ მეც დრო არ მაქვს და სთხოვეთ ხვალ ჩემთან შემოიაროს.

ტინტილამე მოჩვენებასეულად გაჭყაპდა, დროს დერეფანში დარეჯანი და ხოხო გამოვიდნენ.

— სად არის სტუმარი, გოგო?— შეეკითხა მაშას დარეჯანი.

— მოახსენე, რომ დღეს ბატონი ხოხო ვერ მიიღებდა მას და უკან გაბრუნდა.

— გაქრი ახლავე, დაეწიე და თხოვე დაბრუნდეს!— შეუყვირა დარეჯანმა მაშას.

მაშა იმ წუთშივე გაიქცა ქუჩაში და ლაუს ტინტილამეს დაედევნა.

ქუჩაში ბნელოდა. ცალთვალა მაშა გამულელთ ენერჯიად, რამდენჯერმე წაიფორხილა და დაგვა.

რამდენს დაეცემოდა, ის იმდენს შეუკურთხებდა ტინტილამის ოჯახს.

ხოხო და დარეჯანი ამოდ ელოდნენ ლაუსის დაბრუნებას...

მაშა მაინც ვერ დაეწია ტინტილამეს და უკან დაბრუნდა.

სუგბარა

# შისამართო ბარათი.

მსურს ზოგიერთ ვაჭარბონებს გავუხანო ეს ბარათი, — მკითხველებმა თვით მიაგონ მათი სწორი მისამართი!

გონიერ კაცს მათი ნახვა სრულად არ გაუძნელდება, მხოლოდ ბრიყვსა და უჯერურს ვნა ცოტა გაუგრძელდება!

ზოგ ქვეყნებში ვინც უღდანან სათავეში დღეს მთავრობას, საფრთხისაგან პირდებიან ხსნას აზიას და ევროპას!

მტკიცე ფიციით იძლევიან თუმცა ამის დაპირებას, მაგრამ არეინ არ უჯეროს არც ფიცსა და არც გმირობას!

იძახიან: — ხელს მოეწერო სამშვიდობო სახუთებსო, რამდენიც გსურთ, — თუგინდ წონით კილოგრამებს, ან ფუთებსო!

მხოლოდ იმთ ვატარებს ცხოვრებაში ნუ მოგეთხოვითო, სხვებიც მათ არ ასოულენენ, მაგალითი ხომ გახსოვთო?!

აგრეთვე დიდ ჯარის შექმნას და გაწვრთნას ნუ დაგვიშლითო. კი არ ვშალავთ, თუ ვინა გვყავს აღებული ჩვენ ნიშნითო!

ბალშევიკებს ამ ჯარბით დაფათენებთ რა ხეირსო, — თქვენ შორიდან დაინახავთ, დაინახავთ მათ სეირსო!

ბალშევიკთა წინააღმდეგ გვსურს მივმართოთ ეს მარშო, რადგან თქვენაც მათი საფრთხე ეულანდებათ სიზმარშიო!

მეცნიერებს, განსწავლულ ხალხს, მუშათა კლასს და გლეხებსო, კისურს მაგრათ მოუგონავთ, გაუთოკავთ ხელ-ფეხებსო!

პრესა—კინო—სამკითხველოს, თეატრებს სულ დივსურავითო, რაც დარჩება — იმსაც ჩვენ, შორილიად ვომსახურებთო!

ამის შემდეგ დავერევით გასაყლელად წვრილ ერებსო, რომელიც ჩვენ ბატონობას ვერ ითმენს, ვერ ინელებსო!

შეე მიზნების მისაღწევად კვალა ცდილობს, ყველა იღწვის, ზოგან ცეცხლით პარლამენტი, — ზოგან მთელი მხარე — იწვის!

ტრიბუნდან ავრცელებენ რაღაც აბლა-უბლა აზრებს, ზოგ ადგილას გაუსვამენ საგანგებოდ კიდეც ხაზებს!

მათი ბოდვა დაუკარგავს კაცს მოთმენას, გააბრაზებს, ნახეთ. როგორ დაეძებენ ჩიხიდან გამოსავალ გზებს!

ლიტონ სიტყვას „იშველებენ“ შავი საქმის დასამალად და მათ იგი დაუჯერებს, ვინც ქუჩაზე არის მწერალად.

ს. თ.—ია.



— რა სიბინძურეა ეზოში გავლაც კი არ შეიძლება! სანიტ-სამეუღლი კი ამას არა ვითარ უურადლებას არ აქცევს!  
 — აბა, აბა! პირუდაბერ ნაგავში ვიბრჩობით!

# ლავა პერიკონი თუ თა...?

„ფასანორის სრ., საშუალო სკოლის აქვს ღამნაირი მებრუნობა, რომელიც წაღვრულმა ღირებურობის გოგონას ვაჟად რჩება“.

გი. ან.

მიველ ვნებე ბაღი, ის არ იყო სალი, ბაღში რომდენ თებში, ფერმაში ციკლონიკები, ბაღი უნდა იქნებოდა, სურდულში კი— გრანობაზე.

დინახის რა ეს ანაფი დორებმა, თქვეს, — როგორი ჩვენი ვინა ვინახებე ნაქლები ვართ? გვეწყვის ამ ცარიელ ანაფე სურდულს ხორცი თუ?

და დორებს ბერი არ უფიქრობს, ვიღაცასანსუს სურდულში და მათი ბაჭები, — დირექტორი ახტა, დაბტა, მივიდა ღორებთან და უთხრა:

— დორებო, ეს რა გვიჩინათ? რაღას იყო, რომ ღორი სურდულსე კამდა?

— განა მტრობისგანა? სუკავრულით მოგვივიდა!

— განა უნდა შევამოთ—გარისხდა დირექტორი ნიკო.

— ჩვენ ასე გვევიანა, რადგან ჩვენთან შემოირიკა და დატოვა.

— მართლა დორები ყოფილხართ. ამაწი ნახეთ თქვენი პატრისციქმა—და გაბარებულნი დირექტორი წავიდა.

გავიდა რამდენიმე დღე.

მივიდა დირექტორთან დარაჯე ვ. ჩიბულო, აი ამ ჩიბულო, მებრუნობის ბიჭი რომ იყო ისტეს, და უთხრა ნიკოს:

— სიმპოლისგან 25 ბურჯი გვიგზავნა სათქმის და თანვე თქვენი ქორი წაიღო.

— ვინ მისცა ამის ნება?

— ამის რა ნება უნდა!

— როგორ შეიძლება—ახტა ნიკო და დაბტა დახოცოლ დორებთან, უნდადა ბიჩებმა, მეგრამ ვული გამიბარა:

— რა ჩემი ბრალია! მოვლა და კვება არ დამიკლია. სურდულშიც კი მათ შევიკამე, მეგრამ მინც დახოცეს—რწმუნებმა დირექტორმა თავი და წაყვიდა, რომ ისევ დამჯერარყო გვიანი ქათმის კვერცხებზე და გამოიყვია წიწილები.



ეს კი არ იტის დირექტორმა, რომ მოუვლელის გამო კვერცხები გელუდენ და მათგან ეგრადებს გამოიყვას. ჩვენ რა გვეწოდებოდა, იჯდეს ლავე კვერცხებზე და ელდოს გამოიყვას.



ნახ. გ. ახიგაძე

## ტრანსკავშირის სარგებში

მგზავრის—მომცითი მილითი პირველ მანქანაზე არაერთიკობის მიმართულებით. მილაჩე — მილითი ბილითი პირველ რეისზე.

კონტროლიორია—გაგაჩენით მილითი მგზავრის—(ანეგნის ბილითის) კონტროლიორია—ეს ბილითი ვადა გესტოა.

მგზავრის—კი ახლა შევიძინე პირველ რეისსათვის? კონტროლიორია—ჩემი სავსე არ არის.

ჩაბლი თორუმ ძალით ჩამოვსებამ. (ეძახის მილიციუსს. მგზავრი იტებს მანდატს, რომ ღლს ყდაზე აწერია „პაპადა“-ს კარეკაზღენტზე: ან, ხაჯიაბიქის მუთალიცივი).

კონტროლიორია — შენძლიათ მგზავრებმა—ჩემი რაღა დავწავეთ, რომ გეტყვიან?

კონტროლიორია—მოლოდენს მიმართით, მილაჩე—გამგეს მიმართით! გამგე: — მოაღვიღეს მიმართით. (მანქანა მიდის.)

შუპაუა.



გ. ან. ანაძე

ზოგიერთ რაიონში ფიზკულტურის მოედნების უქონლობის გამო ვარჯიშობა იზარბის მინდვრად. მოთამაშეთა უღესკიპლინიზმა იქამდი მიდის რომ ხშირად თამაში რიხუში გადადის.

## როგორ გადადის ფეხბურთი ფიზკულტურის სხვადასხვა სახის ვარჯიშობაში

### „მ ო რ ც ხ ვ ი“.

შნელი, როდესაც მოიტება ხარ ადამიანო, მით უმეტეს თუ კომპარტიტვის გამგე, საბჭოს თავმჯდომარე ან კოლმურნეობის თავმჯდომარე ხარ. ჩემი სოფ. ხეველურითის სოფლაბჭის თავმჯდომარის შალე ვასიშვილის მოიტცებმა გვერუხებს. მასაც აწუხებდა ეს მოიტცებმა: უფარდა ერთი ქალი და პლატინურად განწყობილი ვერავრის უხედავად. ბოლოს როგორც იყო მიმართა: — გოგო, წამოიყე ბაღში. — წამოგყვები, მეგრამ რატომ მხატობა? — აბრაზად, ისე, სიყვარული უნდა ავიხსნა. და წაყვებ ქალი ბაღში. (რა ჰქონდა სე-

წინააღმდეგო? სიყვარულს უხსნიდა, თავს ხომ არ უტყუხავდა?). მეგრამ, მოვეხსენებთ უიღბლო აცეს ანაბეი, სიყვარულს ანისის ღრმის თავმჯდომარის, ბიევიდორი ენაშაო, მასტრაშვილი წააწყდა. შერცხვა თავმჯდომარეს, ქიარსოვლი დახატა. მიწა რომ გამხდარიყო და ხელის-შემწულით ბრევიდორი თან ჩაეჭანა, არ დაინახებდა. და მეორე დღეს კაბინეტში დაიბარა ბრევიდორი. დაბარა და დატეკა ასეთი აპოლიტიკური დანაშაულსათვის? — დატეკა და ზედსმართულიანი ვინე ბა მიყოლია. ე. ი. რა ძველია როდესაც მოიტყვი ხარ იდაიანი

## „პროფუბოპრასია“

— აბა, ბიჭებო, ჩქარა საიეთო კრება მოაწვიეთ, ვაგაგებთო არაფერ შობის ამ ცენის, მინახეს, დანიშნულბებს—განსახდა ცენტროლტის პროფუბოპრასია—ცერო ხარა-სე.

კრება დაიწყო. — ამხანაგებო! სტეფა შეუღებოთ შე და ვიწვეთ ვიღაც ცენტროლტის პროფუბოპრასია, რას დასაბუთებო, რომ არაფერი გეთქვას—ჩაიჭურჭლა ვიღაცამ.

— პროფუბოპრასია... ეს ის დემოკრატიაა. მეგრამ სანამ დემოკრატიაზე ვილა-ვილდე, ნება მომივით უტყარო კენჭი— რას? — შეტახეს ბეტიოქანა.

— სო, დამავიწყდა... დღეს უნდა ივიჩიოთ ჭკარკომის თავმჯდომარე, თქვენ ამის შესახებ იცით ალბათ.

— არაფერი იცით! — როგორ არ იცით! ახალი კანდიდატი ისეთი მიწია, რომ დღეს და გადმოიღოს. მანასადამე კანდიდატურა დასხედულდო და ბასტ.

— არ შეიძლება ამხანაგო, ვერ ერთი არ იცით ვის ასახედობთ, მეორე, აქ ირდევც პროფუბოპრასია: 317 შეუღდა კრებს 20 ცკო უსწრებმა როგორ იქნება.

— ამათავებო პროფუბოპრასიაზე სხვა ღრმს ვილაშაიკოთ. ცლა ჩქარა ვე-კოიოთი კენჭი, თორაქ ამ რე კაცებს დე-კოიკეთ, რა სეკუბია ბერიჩა ხალხა „დღეს ნე ვკალიტეტე“, „ასახულებს ის და ბირე-ვენ“ ქაბხკომის ახალ თავმჯდომარეს.

— თავმჯდომარემ ანაკია ნატახტარი ხაბაღ მისცა, შეუბოზე უღვი მოაქსინდა.

— მომად ამდღეს კრებებმა, დეკვირევიბო თუ არ ვააყვეთ მოხსენება, ვილცე დამამუშავებს და გთავიდა დღეს კი კრება დამამუშავებთ დავემოიგერე! წარმოსთვია მან და კმაყოფილი შინსაკენ გაეშურა.


ივანია.

## „რამდენინის“ ხასიახრი.

ნახ. ლომიძის.



— რეცენზიის დამწერს დამივალეს... რა დამწერო, რომ წარმოდგენას არ დამწერე-ბიგარ?



მაკო, თინა, ნიკო, პავლე როს ზაფხულის დარი დღეა „ბუხად“, მნედ, თუ დამლაგებლად აგარაკზე გაიბარვა. და წასვლის დროს — აქაც ხედავთ: ლაპარაკი არის მეტი, იყო ყველა იმათგანი პირხმელი და ტანწერწეტი.

იმავე დროს დამსვენებელთ მთელი რაზმი, მთელი დასტა, აგარაკზე საგზურებით მხიარულად გაემართა და წასვლის დროს აქაც ხედავთ: მოვერიდოდ სიტყვას გრძელსა, თვითუული იმათგანი წააგავდა ზღაპრულ დევსა...

## „ცაკის წევრი“ ლევან პრასტიის-ქე თუთბერიძე

ქალაქ ქუთაისში, არქიელის გორაზე იმერეთის სამღვდლოებას ყავდა ეპისკოპოსი გიორგი. ეპისკოპოს გიორგის ყავდა ძლიერანი ანუ როგორც ამბობდენ — „სეკრეტარი“ ერასტი თუთბერიძე, ერასტი თუთბერიძეს კი ყავს ვაჟი, ქვეყნის სიამაყე „ცაკის წევრი“ შალვა (იგივე ლევან) ერასტის-ქე თუთბერიძე.

საიდან ვიცნობ ლევან თუთბერიძეს? ერთი „სასიამოვნო ეპიზოდით:

ქუთაისიდან ტფილისისაკენ მიმავალი მატარებელი ხარაგაულის სადგურს გაშორდა.

მგზავრებს უზრუნველად ჩასძინებიათ. ვაგონის შესავალის მახლობელ კუბეში ჩოჩქოლი ტყდება.

— ეს ადგილი ჩემია. მე ის კანონიერად დავიკავე, ის თავისუფალი იყო. — ამბობს მგზავრი.

— არა, ჩემია! მე ქუთაისიდან მოვდევარ! — ამტკიცებს ხარაგაულის ბაქანიდან შემოსული ლევანი.

— კანონიერად დავიკავეს. ადგილი თავისუფალი იყო. — შენიშნავენ ლევანს მგზავრები.

ლევანი არ თმობს, ჩოჩქოლი იზრდება.

— მე თქვენ დაგაჯარიმებთ მშვიდობიანობის დარღვევისათვის! — შენიშნავს ლევანს წინასწარი გაფრთხილების შემდეგ რევიზორი მაკავარიანი.

— ვის უბედავ მაგას! იცო, მე ვინა ვარ?! —

— სულ ერთია ვინც არ უნდა იყოთ.

— მე თქვენ გიჩვენებთ. მე ამიერ-კავკასიის ცაკის წევრი ვარ! მე!... მე!... თქვენ არ იცით მე ვინა ვარ?! მე სარეწაო კავშირის სამთო სამმართველოს უფროსი ვარ! მე ინჟინერი ვარ! მე ამიერ-კავკასიის ცაკის წევრი ვარ! მე თქვენ გიჩვენებთ!

— ღიას, გვიჩვენეთ თქვენი დოკუმენტი! — ეუბნება რევიზორი და „ამიერ-კავკასიის ცაკის წევრი“ ლევანი იღებს „მისი დიდკაცობის“ „უტყუარ“ დოკუმენტს, რომელშიც სწერია:

ამის წარმომდგენი შალვა ერასტის-ქე თუთბერიძე არის სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოს მე-ნ მთა



შემოდგომა მოვიდა და აგარაკიც დაიწვალა და ხურათი წინა გვერდის ამნაირად შეიცვალა.

დატყობიან თანამშრომლობს, რა ძალაც აქვს მოსვენებას, მაგრამ თვით დამსვენებლები მოგვაგონებს მოჩვენებას.

**წვევის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.**

— ეს მოწმობა ყალბია: ვადა—გასულია—შენიშნავს რევიზორი და ექვის თვალთ ჩასჩერებია ცაკის წევრის „მოწმობაში“ საეჭვო ხელით ჩაწერილ თუთბერიძის გვარის გამოხატველ ასოების აღნაგობას.

— მე სამთო სამმართველოს უფროსი ვარ... მე მთავარი ინჟინერი ვარ... — იმეორებს „ტიტულებს“ რეპუტაცია შელახული თუთბერიძე.

— ვინც გინდათ ის იყავით; მხოლოდ ეს დოკუმენტი არ გამოდგება. მომეცით სხვა დოკუმენტი.— ეუბნება რევიზორი.

„ცაკის წევრი“, სამთო სამმართველოს უფროსი და „მთავარი ინჟინერი“ ლევან თუთბერიძე აძლევს მეორე დოკუმენტს, რომელშიც სწერია, რომ მას, როგორც სა-

შუალო სკოლა დამთავრებულს, ეძლევა დაწესებითი სკოლის მასწავლებლობის უფლება.

— ცაკის ბილეთი „შალვას“ სახელზეა, აქ კი „ლევანი“ სწერია, რომელს დაუჯეროთ?— შენიშნავს კონდუქტორი.

— ორივე ჩემია: ორი სახელი მაქვს.. ლევანი და შალვა— დაწეული ტონით უბასუხებს „ცაკის წევრი“ და სახეზე სიწითლე ერევა.

რევიზორი მაქაფარიანი მოწმობას და ორივე დოკუმენტს ჯიბეში იდებს.

— ჟულიკია მაი ვილაც!, სამთო სამმართველოს უფროსი მაი კი არა, ამხ. ხუნდაძეა!— ამბობს ერთი მოქალაქე.

— ნუ არცხვენთ კაცს. „მთავარი ინჟინერი“ ყოფილა.

— აბა, აბა! ცაკის წევრი, სამთო სამმართველოს უფროსი... ფხ!...— იცინიან მგზავრები...

იმის შემდეგ, რაც ეს ამბავი მოხდა, რამდენიმე კვირაა, ამ ხნის განმავლობაში ვერც საქართველოს და ამიერ-კავკასიის ცაკის წევრთა სიაში, ვერც სარეწაო კოოპერაციის სამმართველოში, ვერც ინჟინერ ტექნიკოსთა კავშირში ვერ აღმოვჩინეთ „ამიერ-კავკასიის ცაკის წევრი“ საქართველოს სარეწაო კოოპერაციის სამთო სამმართველოს „უფროსი“ და მთავარი ინჟინერი „შალვა (იგივე ლევან) ერასტიძე თუთბერიძე.

მილიციავე, შენ მაინც გაგვიკვებ, ვის გადავცეთ თუთბერიძის 441 ნომრით დათარიღებული ცაკის ბილეთი?

ეპალი

— მომილოცე!  
— რა მოხდა?  
— მომილოცე-მეთქი!  
— მაინც რა მოხდა? ცოლი შეირთე?  
— არა, რას იწყებლები, მომილოცე-მეთქი!  
შევზინდი: გიყთან ხომ არ მაქვს საქმე-მეთქი.  
— მაინც რა მოვილოცო?!  
— მომილოცე, ამისრულდა ხუთი წლის ტყეობა, მოვეწვევ!  
— სად? როგორ? რა დაგემართა?!  
ჩემი შიში მართებული გამოდგა:  
— „სახკინმრეწვის“ მიმიღეს მსახიობად; რეჟისორი ურმელი სცენარს წერს, ოცდარვა კადრი უკვე მზად ჰქონია, როლი მომცა აუცილებლად ნიჭს გამოიჩინო, მითხრა, კარგი ტანი გაქვსო.  
— მომილოცნია! — მივუგე ჩემს ახირებულ ნაცნობ ახალგაზრდას და მისი სიხარულის გასასამკვებლად დავეუბრე:  
— ადგილი ხომ არა აქვს რეჟისორ ურმელს? მეც მინდოდა მიმეღო მონაწილეობა კინო-სურათში.  
— ადგილი? არა მგონია, ვანა ასე ადგილი არის კინოში თამაში! რომელიმე ტიპს უნდა ჰგავდე. აი, ახლა მე პარიკმახერთან მივდივარ, თმა უნდა მარადხუჭუჭი გავიხადო. ისე არ გამოდგებიო, რეჟისორმა მითხრა.  
— მომილოცნია!..

ერთი კვირის შემდეგ ისევ შემომხვდა.  
— დიდებულად მიდის საქმე!  
— მაინც, როგორ?  
— დიდებულად-მეთქი, გინდ დაიჯერე, გინდ-არა: პარიკმახერს თმის დასახუჭუჭებელი მაშა არ ჰქონდა, უფრო უკეთესი ხერხი მასწავლა: თმა ძირში ვადამბარსა სამართებლით, დამარიგა: მოტვლებილ თავზე ყოველდღე ზეთი წაისვი და საუცხოვო ხუჭუჭი თმა ამოვივყო.  
— მერმე, რას შვრები?  
— ვასრულებ დარიგებას, ეშმაკმა დასწყველოს, ბევრი ფული კი მეხარჯება ამ ზეთში: დღეში კილო მაინც მჭირდება.  
— არაფერია, „უეკლოდ ვარდი არავის მოუკრეფნია“ — სამაგიეროდ ათასობით ფულს ვაკეთებ, კინო-სურათის გადაღება რომ დაიწყება...

— რა ქენი? კიდევ არ ამოვივიდა ხუჭუჭი თმა?  
— ნულარას მკითხავ.  
— რა დაგემართა?!  
— მოვტყუვდი: თურმე სასაქმებელი ზეთის წასმა ყოფილა საჭირო. მე საქმელ ზეთს ვისვამდი თავზე, აფსუს ფულეობო!  
— არაფერია. შენც ადექი და სასაქმებელი ზეთი წაისვი.  
— არ იშოვებდა, სამი დღეა დავრბივარ ყველა აფთიაქი შემოვიარე, წერილი მივუწერე ნაცნობ აფთიაქის გამგესთან. მადლობა ვადამიხადა, გამომემწვილობა...

— დიდებულად მიდის საქმე!  
— მაინც, როგორ?  
— დიდებულად-მეთქი, მალე დაიწყება გადაღება.  
— მერმე, თმა, რომ არ დაგხუჭუჭებია?!  
— უკეთესი! კიდევ კარგი, რომ ტყუილი გამოდგა პარიკმახერის დარიგება: დავიღუპებოდი: რეჟისორ ურმელს განზრახვა შესცვლია: ხუჭუჭთმიანი აღარ არის საჭირო. სულ გადაუკეთებია სცენარი. პირველი ნაწილი უკვე მზადა აქვს. ახლა სხვა როლისთვის ვემზადები, კაცს ვთამაშობ, გრძელ თმა-წვერიანს. სამი თვის შემდეგ უკვე მექნება მოზრდილი თმა-წვერი. მანამდე ალბათ რეჟისორი ურმელიც დაამთავრებს სცენარს...



— რა ქენი დაიწყე?  
ხმა არ ამოუღია.  
— რა დაგემართა, ავად ხომ არა ხარ?  
თავი გაიქნია. — არაო.  
— მამ რა, უარი ხომ არ გითხრა რეჟისორმა როლის თამაშზე?  
— არა, — ძლივს წამოიღულულულა — ორი თვის შემდეგ დაიწყება სურათის გადაღება.  
— მერმე, რატომ ხარ ასე დაღონებული?

**გამოვიდა და იყრება**  
**სივ. თოფარიას**  
**საბინა**  
**იპორტი-ზანი 7ა**  
**ძმადლი და პხადლი**  
**ბაქთაქანი-ზანი 3ა**

— რა დაგიმალო, ერთი კვირა არაფერი მიჭამნია.  
შემეცოდა. თუმნიანი ამოვიღე და გაუწოდე. გამომართვა.  
— ფულს გამოგართმევ, მაგრამ ჭამა მაინც არ შემიძლიან.  
— მიზეზი? ავად ხომ არა ხარ?  
— არა, ვერ მიხვდები... როლს ვამზადებ: რეჟისორმა მითხრა: ძალიან მსუქანი ხარო, არ გამოდგები, ჩემს სურათში გადავალტყავებულმა, გრძელწვერა კაცმა უნდა ითამაშოსო. არ მინდა რეჟისორს ვაწყენინო. ხუმრობა ხომ არ არის: მთავარ როლს მაძლევს.

სამ თვეს აღარ შემხვედრნია.  
ერთ საღამოს, პლესანოვს გამზირზე გივლაც ყბახვეულს მოვკარი თვალი. ნაცნობი სახე იყო. დავაკვირდი. ჩემი ნაცნობი მსახიობი ახალგაზრდა „კონრად ვეიდტი“ აღმოჩნდა.  
— რა დაგემართა?! — შევეკითხე და ახვეულ ყბახვე მივუთითე.  
— არაფერი, როლს ვამზადებ.  
— ყბახვეულ კაცს თამაშობ?  
— არა, რეჟისორი ურმელი მოსკოვში წავიდა საწარმოო მივლინებაში. მეორე რეჟისორმა დამიღო ხელშეკრულება, ვერმიშელოვმა. ურმელს მისთვის დაუტოვნია სცენარი. ვერმიშელოვს სულ სხვანაირად გადაუკეთებია: ტრიუკულ სურათს სვამს. დამივალა ტრიუკების გაკეთება მესწავლა, გულში აიჩინე და ვადმოვხტი, კედელს, დავეჯახე, ყბა გავიტყებო...

გუშინწინ „სახკინმრეწვის“ ფაბრიკიდან გამოვდიოდი.  
გამოსასვლელთან ჩემი ნაცნობი „ტრიუკისტი“ შემხვდა.  
სულმთლად ჩამოხეულ - ჩამოფლეთილი, ქუჩის გლახას ჰგავდა.  
თავის ახალი ამბებით გულს გამიწყალებს-მეთქი, გავიფიქრე და დავასწარი:  
— მომილოცე!  
— რაშია საქმე?  
— მომილოცე-მეთქი!  
— რა? კინოში იწყებ არტისტობას?  
— არა, სცენარი დავწერე. მიიღეს, შენათვისაც კარგია, რეჟისორს ვეტყვი მთავარი როლი მოგცეს.  
— რა სცენარია, მზადება ხომ არ დამჭირდება?

— არა, ჩემი სცენარის მთავარი როლი ზედგამოჭრილია შენთვის. „გლახის ნაამბობი“ დავწერე ილიას მიხედვით.  
ვერ მიმიხვდა, რომ დავცინოდი. ხელი ჩამოიართვა; დამპირდა მასახელებდა როლის რამაშით.  
წამოვედი, ფეხს ავუჩქარე და კვიმატმა ფიქრებმა წამიღეს: რა იქნება, რომ მართლა დავწერო სცენარი, მთავარი როლი ჩემ ნაცნობ „მსახიობს“ მივცე და სურათს სახელად „უცნაური სენი“ დავარქვა?...  
**ბ. ივანიშვილი.**



# გაკვრით

# „საქმის“ ხალხი

ლონდონის ერთერთი გაზეთის („ნაიტს პენჩურის“-ს) გადმოცემით ამას წინაღ ინგლისის თემთა პალატაში პარლამენტის ერთ-ერთმა წევრმა მაკდონალდს „მასხარა“, „მხდალი“ და „ვირის თავი“ უწოდა.

შეორე შემთხვევაში იმავე პალატაში ასეთ მოვლენას ქობდა ადგილი: ოპოზიციის ლიდერმა დეპუტატმა ლენსმერმა მოუთითა პარლამენტს ერთერთი მინისტრის „ცინიკური თავგასულობის“ შესახებ. ამ ფრაზის ხმაურების გამო პარლამენტში ასეთი დიალოგი გაიმართა:

**თავმჯდომარე:** მე არ შემიძლია ნება დავართო პარლამენტის პატივცემულ წევრს იმხაროს სიტყვა „თავგასულობა“ ასეთი გამოთქმა არა პარლამენტურია.

**ლენსმერი:** ვთხოვთ განმმარტოთ: არის თუ არა სიტყვა „თავგასულობა“ საქმიან პარლამენტარული?

**თავმჯდომარე:** — დიახ ეს სიტყვა არ არის პარლამენტური.

**ლენსმერი:** მაშინ მე მსურდა აღმენიშნა იმ ჯენტლმენის ცინიკური თავგასობა, რომლის შესახებაც შეუფერებელი გამოთქმა ვინმარე.

ბურჟუაზიულ პარლამენტში დეპუტატებს ხშირად უხდებთ ერთმანეთის, და ზოგჯერ მთავრობის წევრების, „შეუფერებელ“ ეპიტეტებით „შემკობა“, მაგრამ მაინც ცდილობენ სხვების თვალის ასახვევად ფორმალურად დაიცვან ერთგვარი „ეტიკეტი“. ამ მიზნით ინგლისში სპეციალური წიგნიც კი არსებობს, რომელიც შედგენილია და გამოცემულია გასული საუკუნის სამოციან წლებში. („ყოფაქცევის წესები პარლამენტში“) მაგრამ იმავე გაზეთის შენიშვნით ეს წიგნი „უსარული და მოძველებულია, მას დაბრუნებული აქვს იმ სიტყვების სია, რომლის ხმარებაც პარლამენტში აკრძალულია. მოგვყავს ზოგი მათგანი:

- გამცემი,
- ორპირი,
- მხდალი,
- საზიზღარი,
- ხულივანი,
- მლიქვნელი,
- უსიარცხვილო,
- გაიძვრა,
- ქულიკი.

„აქ ისეთი სიტყვებია — შენიშნავს გაზეთი, რომლებიც სრულიად ბუნებრივად მუდამ აკრავს ენაზე თითოეულ პატივცემულ წევრს პარლამენტის დანარჩენ არი ნაკლებ პატივცემულ წევრთა მიმართ“.

ეს შენიშვნა ისე მახვილია, რომ არავითარ კომენტარს აღარ საჭიროებს.


გაზეთი „კემინგტონ ნიუზი“ ოლტაცე ბულია ბურჟუაზიულ ქვეყნების „საქმიანი“ ქალების მანიკურით ვატაცების გამო.

„ისინი თითზე მეფის გვირგვინს მბატავენ, — წერს გაზეთი — გვირგვინი ოქროსფერი საღებავებით კეთდება; კარგ ტონს ვღებულობთ უფრო მაშინ, როდესაც გვირგვინი მართლაც ცერის ფრჩხილზე ან მაჩვენებელ

თითზეა გამოხატული“.

ჩვენის მხრით, ორ უკანასკნელში უპირატესობა მაინც მაჩვენებელ თითს უფრო ეკუთვნის. ეს თითი უფრო მოძრავი და „სტაჟიანია“, გვირგვინებზე სწორედ მაზე უნდა დაინატოს, რადგან მას პატივცემული ქალბატონები ხშირად გამოისვამენ... ცხვირში.

სიი.



ნახ. ლონის

**გაგანი:** — თქვენ ვინ მოგაკვდათ, რომ ბუკალზე ტრაული გაგიკეთებიათ?  
**მლიქვნელი:** — არავინ... ეს თქვენი ბებია გარდაცვალების გამო!...

„კუნძულის გაგვამ, სადა ხარ“...

ნახ. ი. ქოქიაშვილის.

დღის პირველი საათი.  
სოფელ გლდანის საექიმო პუნქტთან  
ვეებერთელა რიგია გამართული.

როგორც დგანან თავშეხვეული ავადმყოფები, ქირსუფლები, მოხუცი ინვალიდები, შუახნის დედაკაცები, მძიმე ბავშვებით. როგორც თანდათან იზრდება. სამკურნალო პუნქტის გამგის ვაშაკიძის ქალის კაბინეტის კარები დაკეტულია.

— არ მოსულა?

კაბინეტის უკანა რიგში მდგომი მთქალაქენი.

— არ სჩანს — უბასუბებენ მოწინავენი.

სამკურნალოს წინ ახალგაზრდა ვაჟების ჯგუფი ცალკე გამოყოფილა.

ისინი რიგს ერიდებიან, რადგან ექიმის მისვლის იმედი არ აქვთ.

— არ მოვა! მთელი კვირა რომ ვიცადოთ, მაინც არ მოვა! — ამბობს ერთი.

ამ შენიშვნის დროს მეორე ახალგაზრდა სიმღერას იწყებს:

პუნქტის გამგევ, სადა ხარ,  
და რომელსა მხარესა,  
ვის უზინარ მახლობლად,  
ვის უშტერებ თვალესა?!

— ვის უზის და აღმასკომის თავმჯდომარეს უზის ზე კაკალ მუხლებზე! — შენიშნა ვიღაცამ.

— სამსახურის დროს?! ვერ დავიჯერებ! — გაიკვირვა ვიღაცამ.

— შედი აღმასკომში და შენი თვალით ნახავ! — მოუტრეს დანარჩენებმა.

ასკიტი

## არსენა ავლაბრელი.

არის ავლაბარში მე-19 არასრული საშუალო სკოლა. ამ სკოლას ჰყავს დირექტორი — პეტრე შამათავა. დირექტორის გარდა, ამ სკოლაში მოწაფეებიც არიან. და აი, ამ მოწაფეებმა გასულ სამოსწავლო წელს ფულები შეიტანეს სკოლაში, სახელმძღვანელოებისათვის. იარეს ამ ფულებმა, მოილი ტფილისი შემოიარეს, ზოგმა სახელმძღვანელოები იყიდა, ზოგი კი დაიკარგა უზო-უკვლოდ. მოითხოვეს მოწაფეებმა საკუთარი ფულები. გამგე დაპირდა: რა გაჩაბრებთ, მაგ ფულებით მომავალ წლისათვის შეგიძნეთ სახელმძღვანელოებსო.

ამ ერთმა წელიწადმა უკვე გაიარა. დადგა ეს მომავალი წელიც, მაგრამ დაზარალებულ მოწაფეებს არც ფულები მიუღიათ და არც წიგნები. და როდესაც, ამ საკითხზე განათლების განყოფილება ეწვია სკოლის გამგეს, პეტრე შამათავამ ასეთი პასუხით გაისტუმრა:

— რა მერჩით მეგობრებო, ის მოწაფეები მდიდრები არიან, იმათ ფულებით წიგნები იყიდენ და ღარიბ მოწაფეებს მივცე... მართლაც და რას ერჩიან შამათავას:

„მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს“!

არსენა, ზედ გამოჭრილი არსენა!..

და თუ ამავ სკოლამ, არსენა ოძელაშვილივით, არსენა ავლაბრელიც სასწავლო პროგრამაში შეიტანოს. ერთში ნუ შესცდება: არსენა ოძელაშვილი ხალხის გმირი იყო და მს ხალხი იფარავდა. პეტრე შამათავას კი გამორბასთან არავითარი კავშირი არა აქვს, მაგრამ 26 კომ. სახ. რაიონის განათლების განყოფილება მაინც იფარავს. ში.



— დავიღუპე კაცი, აღარ არის წიგნაკები და რიგები. აწ რა საქმე გავიჩინო და ხალხს ვავატარო დრო!

## ამხ. ნიანგო!

საქ. პროფსაბჭოს დახურულ სასადილოს გამგემ თეოფილე მამსურაძემ პურის ფასების დაკლებასთან დაკავშირებით ერთ არაჩვეულებრივ გამოგონებას მიმართა: პურს ფასი არ დაუკლო და სამაგიეროთ წონას მიუმატა შემდეგნაირად: გირებთან ყრის რალაც თავისივე გამოგონილ საეაქრო ფოლაქებს, რომლის წონა თვით პურის გამყადველმაც არ იცის, როდესაც მივმართე: „როგორ მოგივიდა თავში ასეთი საუცხოვო გამოგონება-მეთქი“ „ძია“ თეოფილე გაბრაზდა და გინებით გამომავლო სასადილოდან. მოგვეშველეთ ამხ. ნიანგო: ან სასადილო გავანთავისუფლოთ თეოფილე „გამომგონებლისაგან“, ანდა — თეოფილე მამსურაძე გავანთავისუფლოთ სასადილოსაგან.

მ. ზახულოვი

## ამხ. ნიანგო!

ამხ. ნიანგო, ბორჯომის წყალი რომ მეტად მარგებელი სასმელია, ეს საკითხი სამკურნალო მეცნიერების მიერ დიდხანაა გადაწყვეტილია და ის ჩვენთვის უკვე აღარავითარ ამოცანას აღარ წარმოადგენს. მაგრამ მისი საცალო ფასების არაბუნებრივი სხვადასხვაობა სხვადასხვა ადგილებში კი ჩემთვის განცვიფრებას იწვევს. მაგალითად, ბორჯომის წყალი ტფილისის სადგურზე ღირს ჭიქა 25 კაპ. ისეთივე ჭიქა გორის სადგურზე ღირს 28 კაპ. ხაშურის ჭუფეტში 30 კაპიკად. მებადნება კითხვა: რა უნდა ღირდეს ჭიქა ბორჯომის წყალი თვით ბორჯომში, სწორედ იმ ადგილთან, სადაც ეს მინერალური წყალი მიწის წიაღიდან უხვ მადრევაებათ ამოიღებხუბებს?!

ს. შიქი

# სცენები

**სოფ. ფარცხანაყანები** (ქუთ. რ.) საექიმო პუნქტი. მომწველი პირები: ექიმი ანხილია ჭაუჭიძე, მისი თანაშემწე ნალია ფხაკაძე, ავადმყოფები, ავადმყოფის პატრონები, ხაჭაპურები, მურაბები, არაყი, სიმინდი, ცხენი, მიცვალებული და მისი ქირისუფალი.

## სცენა პირველი (საექიმო პუნქტი)

**ექიმი (ავადმყოფებს):** — მიღების დრო გათავდა. შევიძლიანთ წაბრძანდეთ და ხვალ სახლში მომაკითხოთ.

**კოლმეურნე:** — ბატონო ექიმო, ცოლი მიკვდება, მიშველეთ რაზე, საჩქაროდ წამოდიო.

**ექიმი:** — გყავდა სხვა ექიმი ჯერ?

**კოლმეურნე:** — მყავდა, ექიმო, მუხიანის ექიმი ჯერა შეიშვილი. მარა ავადმყოფი ცუდად შეიქნა და მის მოყვანას ვერ მოგასწრებ.

**ექიმი:** — შე თქვენ ავადმყოფს არ ვნახავ, წადი, მოიყვანე, მუხიანის ექიმი. პირველად რომ მას მიეცე ფულები?

**კოლმეურნე:** — არა, ექიმო, მან ფული არ აიღო; დარიბი ხარ და შენგან ფული არ მიინდა. ექიმო, ნუ დამლუპავ! (ექიმი გადის).

## სცენა მეორე (ექიმის ბინა)

**ავადმყოფი:** — ბატონო ექიმო, აბორტი მინდა გამიკეთოთ. შეიძლება?

**ექიმი:** — შეიძლება, მხოლოდ ხუთი ჩერვონეცი უნდა.

**ავადმყოფი:** — თანახმა ვარ.

**ექიმი:** — წადი სახლში, საღამოთი მოვალ, მოამზადე ახალი ქათამი, არაყი, ხაჭაპურები, მურაბა და 50 მანეთი.

## სცენა მესამე (ავადმყოფის ბინა)

**ექიმი:** — აქა მშვილობა! (მიმართავს მას-პინძელს). ჩემს ცხენს ნახევარი ფუთი სიმინდი აჭამე. (ღიასახლისს) ქრისტინე, შენ კი ხაჭაპურები გამოაცხე, არაყი მოიტანე და, სანამ ავადმყოფს გაეხსნა, ცოტა შევწყურდები. (ექიმის დაკვეთა სრულდება. ექიმი მაღიანად მიირობევის).

**ავადმყოფი:** — გვედები, მიშველეთ!

**ექიმი:** — რა გარბილებს, ქალო, შენ კი არა პროფესორები კვდებიან. მოდი ხვალ აფთიაქში, მიიღეთ საფალარათო ზეთი და კუჭი გაიწმინდეთ.

## სცენა მეოთხე (საექიმო პუნქტი)

**ექიმი (თანაშემწეს და აფთიაქის გამგეს):** გიკრძალავთ სხვა ექიმის მიერ გამოწერილი რეცეპტით წამლის გაცემას და თქვენ, ჩემო თანაშემწევ, ნემსებისა და ბანკების გაკეთებას.

**თანაშემწე:** — გვესმის!

**აფთ. გამგე:** — მესმის ექიმო, მაგრამ ვერ შევასრულებ თქვენს განკარგულებას.

**ექიმი:** — რატომ?

**აფთ. გამგე:** — მაგის უფლება არ მაქვს და თქვენი სიტყვით მთავრობის კანონს ვერ შევცვლი.

**ექიმი:** — მაშ შენ ყოფილხარ უფროსი და არა — მე.

**აფთ. გამგე:** — უფროსი თქვენ იყავით, ხოლო მე მთავრობის ღირებულებებს ვასრულებ. (ქუჩაში მოისმის ტირილი, მიცვალებულს მიახვეწებენ).

**ქირისუფალი:** — ექიმო, თქვენ მოკალით. ფილტვების ანთება ჰქონდა და თქვენ საფალარათო გამოუწერეთ!

მისლინსკი

# თავგადასარჩევანი ბოკერია სმა-ჭამაში ბოკვერია

საგარეჯოს რაიკოპკავშირის თავმჯდომარე ბოკერია იოანე თვის განმავლობაში (ე. ი. თავისი მუშაობის პერიოდში) საწყობიდან და სოფლის კოოპერატივებიდან დამზადების უამრავი პროდუქტი წაიღო თავისი საჭიროებისათვის. („სოც. გზით“ № 38).



„მოდით, მოდით, ნუ აყოვნებთ, გელოდებათ ჩემი ხახა“ — მოვიდენ და ბოკერია თვის სტომაქში გაღუძახა.

„მართალია, რომ ამბობენ: მადა მოდის ჭამაშიო. ეს მე თითონ გამოვცადე, აქ დავრწმუნდი ამაშიო.“



**ბოლბს.** (ქათამის). გვეწერთ; რომ ხელში ჩაგვივარდით ძეძილეთის (ქუთ. რ.) სახარაზოს „სრულფლებიანი“ წარმომადგენლის წერილი, რომელსაც უგზავნის თავის მეგობარს:

„შო, კიდევ დამაპატიმრა მილიციამ, როცა ნაპარაკ ვაღაშს ვყიდოდი. მაგრამ შემე რა! ვიკვირს—სახამართლოდან როგორ დავიძვრინე თავი? რატომ ვიკვირს? ბიბილური იონა ვეშაპმა გადაუღაპა და რამდენიმე დღის შემდეგ (მგონი ხამი დღის შემდეგ) ისევ უვნებლად გამოძვრა ვეშაპის სტომაქიდან, რადგან ვეშაპმა იგი ვერ მოინელა. მეც ხომ იონა მქვია და გვარი ბაბუნაშვილი მაქვს. იონამ თუ ვეშაპის მუცლიდან დავიძვრინა თავი, მე პახუნისგებიდან ვერ დავიძვრინდი თავს?“

ნიანგმა, იონასთან ერთად, სტომაქში გაგზავნა თქვენი წერილიც.

**სოკის.** (შორაპანი) ჩვენც მივესალმებით თქვენს მისწრაფება სურვილს, რომ გახდეთ ჩვენი ჟურნალის თანამშრომელი. მაგრამ უნდა გახსოვდეთ, რომ სურვილთან ერთად აუცილებლად საჭიროა იუმორისტობაც.

ელნადგართა უფროსი აკაკი ებრალიძეს შესახებ გვატყობინებთ, რომ: მან გაყიდა „შნურები“, მავთული და შუშები. ცემითა და გინებით დავგიშინა მუშები. სახაზინო ქონებას აძლევს იგი ვარეშს. რესტორანებს ერთ დღეში სამჯერ მოითარეშებს. ჩვენ ხიამონებით დავბეჭდავთ სხვა ად-

გილებსაც, მაგრამ აკაკი ებრალიძე ამ თქვენს „დარტყმისაგან“ არაერთარ ტკრვილს არ იგრძნობს, მით უმეტეს, რომ იგი ასეთი „სტელკანიანი“ ყოფილა.

საზლას (ჩოხატაური). სოფ. შუაგანახლების არტელის შესახებ გამოგზავნილ წერილში თქვენ ასეთი ადგილი გაქვთ:

არ გაახარეს არტელი ეს ჩვენი „ჩვენი ნუგეში“. ბევრის ბოროტი ხელები ფათურობს იმის უბეში. ვერაფერ ნუგეშს იძლევა თქვენი „ნუგეში“ და ვერც თქვენ იძლევეთ დიდ ნუგეშს ასეთი ლექსით:


ჯიბლაძეა იაგორა, შინ ფულები მიაგორა. დოლიძე კი—გრიგოლია, იაგორის ძმა—ტოლია.

**სმეზის (გურჯაანი):**—თქვენ გვეწერთ, რომ: „სოფ. ნინოწმინდის, გიორგი წმინდის, მანავის პატარძელისა და სხვა სამკითხველოები სრულიად უყურადღებოდ არიან მიტოვებული“.

—გიორგი და ნინო ვართ ღვთაებრივი და წმინდა. აღარავინ კითხულობს, რა გვჭირია, რა გვინდა. — მეც მაგრ ვარ, ვენაცვათ, სამკითხველო მანავის, — რაღა პატარძალი ვარ, არ ვახსოვარ არავის.

ნიანგის შენიშვნა. სამკითხველოებს რა უყურადღებო უნდა მიაქციონ, ალბათ წმინდა გიორგი და წმინდა ნინო იკვებნიან საიჭოში, რომ მათი სახელების სოფლები კიდევ არსებობენ, რაც, თითქოს, იმის მომასწავებელია, რომ ხალხს ისინი კიდევ ახსოვთ.

# საბავშვო



## ნახ, დონახ გამოფენაზე

„სკოლებს დღემდეც აწოდებენ სრულად არადამაკმაყოფილებელი ხარისხის საწერ ნივთებს“.

— დედა, შოთას დროსაც ცუდი კალმებს აკეთებდენ, რომ ბატის ფრთით წერს „ვეფხისტყაოსანს“?

პ. გ. რედაქტორი ს. მშალი რედაქციის მისამართი: ტფილისი ჯორჯიაშვილის 5. ტელ. 3-58-21.  
ა. ფ. მიასნიკოვის საბ. „ზარია ვოსოკა-ს“ სტამბა შეკ. № 2329 მთავლიტი ბ-7230 ტირაჟი 17000